*დამტკიცებულია ახალი რედაქციით:*
*აკადემიური საბჭოს მიერ N13, 2025 წლის 13 აგვისტოს*

## თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
## სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროგრამის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration

**განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**აკადემიური ხარისხი**: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, Bachelor of Business Administration (BBA)

**მიმართულება:**

- დეტალური სფერო - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებითა და საათებით:** 180 ECTS კრედიტი

**პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი მანანა ვასაძე

### 1 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ინგლისური ენის შეფასება ექნება არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 70%.

- უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებს, „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი არანაკლებ B1 დონის სერტიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც საშუალო ან უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების საფუძველზე, ასევე შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსულ შესაბამის სტუდენტებს.

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2 პროგრამის აღწერა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემუშავებას წინ უძღოდა შრომის ბაზრის კვლევა და ევროპული უნივერსიტეტების „ბიზნესის ადმინისტრირების“ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აგების პრინციპების დაცვით, კერძოდ პროგრამაში **140 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის. აქედან პრაქტიკის კომპონენტისათვის დათმობილია 5 **კრედიტი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის** შესრულებისათვის განკუთვნილია **5 კრედიტი,** პროგრამის ფარგლებში 5 **კრედიტი** განკუთვნილია სავალდებულო საუნივერსიტეტო არჩევითი კურსებისათვის, რომელთაგან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი, ხოლო **20 კრედიტი** განკუთვნილია თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამა მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო არჩევითი კურსების 4 კონცენტრაციას თითოეულს 15 კრედიტის ოდენობით - მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ბუღალტრული აღრიცხვა.

- **სწავლების ძირითადი სფეროს (ბიზნესის ადმინისტრირება) სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 კრედიტი**
- **საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.**
- **სავალდებულო არჩევითი კურსების 4 კონცენტრაცია (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანასები, ბუღალტრული აღრიცხვა) -15 კრედიტი**
- **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები 20 კრედიტი**
    - სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თავისუფალი კომპონენტი უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აკრედიტირებული პროგრამებიდან წინაპირობების გათავალისწინებით.

**სწავლის ხანგრძლივობა:** პროგრამა მოიცავს 3 სასწავლო წელს (6 სემესტრი), სასწავლო წელი იყოფა 2 სემესტრად: ყოველი სემესტრი შედგება 20 კვირისაგან. მათ შორის მე-8 კვირა ეთმობა შუალედურ, ხოლო მე-17 და მე-18 კვირები დასკვნით გამოცდებს, ხოლო მე-19 და მე-20 დამატებით გამოცდებს.

## 3 პროგრამის მიზნები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს კონკურენტუნარიანი (შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით) მაღალ კვალიფიციური კადრები ბიზნეს ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) სფეროს ფართო თეორიული ცოდნით;
2. აღჭურვოს სტუდენტები ამ სფეროსთან დაკავშირებული დაგეგმვის, ორგანიზების, განხორციელებისა და კონტროლისათვის საჭირო პრაქტიკული უნარებით, რაც უზრუნველყოფს კომპლექსურ ბიზნეს გარემოში ეთიკის პრინციპების დაცვით სწორი გადაწყვეტილების მიღებას;
3. სტუდენტებს გამოუმუშავოს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, მონაცემების შეგროვების, დამუშავების, სანდო და რელევანტური დასკვნების გაკეთების, ეფექტიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.

## 4 პროგრამის სწავლის შედეგები

**I. ცოდნა გაცნობიერება**

1.1 აღწერს მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, მოდელებს, კონცეფციებს, ფუნქციებს, პრინციპებს, ინსტრუმენტებს და მათ მნიშვნელობას ორგანიზაციის მართვის პროცესში და განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობას და კორპორაციული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში;

1.2 განიხილავს მუდმივად ცვალებად ბიზნესის შიდა და გარე გარემოში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შეფასებისა და ანალიზის მნიშვნელობას;

**II. უნარები**

2.1 ახდენს კომპანიის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, ბიზნესის დაწყების მიზნით ბიზნეს იდეების იდენტიფიცირებას, საუკეთესო იდეის შერჩევას და შეიმუშავებს მისი კომერციალიზაციის მიზნით სათანადო ბიზნეს გეგმას;

2.2 გეგმავს ბიზნესის ცალკეული სტრატეგიული ერთეულებისათვის მარკეტინგული სტრატეგიის და მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს და ახდენს მათი განხორციელების ღონისძიებების ორგანიზებას;

2.3 აფასებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგებების და მაჩვენებლების ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით;

2.4 აფასებს ფინანსური სისტემის კომპონენტებს, ფულისა და კაპიტალის ბაზრის ქცევას, საპროცენტო განაკვეთსა და გაცვლით კურსზე მოქმედ ფაქტორებს, აანალიზებს რისკსა და ფასიან ქაღალდებზე მოსალოდნელ შემოსავალს შორის კავშირს.

2.5 ახდენს ბიზნესის პრობლემების იდენტიფიკაციას და მათი გადაჭრის მიზნით აგროვებს, აანალიზებს და ამუშევებს საჭირო მონაცემებს და ახდენს მიღებული შედეგების ინტერპრეტირებას;

**III. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

3.1 მუდმივად ცვალებად სამუშაო გარემოში პროფესიული საქმისადმი პასუხისმგებლობით მოკიდება, პროფესიული განვითარების მიზნით გეგმის შემუშავება და დამოუკიდებლად მისი განხორცილება.

პროგრამაში მოცემული კონცენტრაციები, რომლებიც შინაარსობრივად წარმოადგენენ აღნიშნული სფეროს დარგობრივ მიმართულებებს (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსები) ფოკუსირებულია ვიწრო მიმართულებით სწავლის შედეგების განმტკიცებაზე:

**კონცენტრაცია - მენეჯმენტი**

- განიხილავს ბიზნესის და ეკონომიკის რეალურ გარემოს, ახასიათებს მათში მიმდინარე პროცესებს, აფასებს და აანალიზებს ინტერპრეტაციულად.
- ახდენს მონაცემების პოზიტიურ - ნორმატიულ ანალიზს, ბიზნესის შიდა და გარე გარემოს დეტერმინანტებს აყალიბებს სათანადო დასკვნით დებულებებს.
- შეიმუშავებს სტრატეგიულ და ოპერატიულ მიდგომებს და იყენებს მათ პროექტირებისა და ოპერაციების მართვის პროცესში.

**კონცენტრაცია - მარკეტინგი**

- ამუშავებს მარკეტინგულ ინფორმაციულ მონაცემებს, მომხმარებელთა რეაქციისა და ქცევის განმსაზღვრელ დეტერმინანტებს. ბაზრის დივერსიფიკაციისა და სეგმენტაციის პრინციპებს, კონკურენციის გრძელვადიან ხედვას.
- აფასებს მარკეტინგული სტრატეგიის ეტაპებს, მომხმარებელთა სტიმულირებისა და მოთხოვნა-განმსაზღვრელი ფასეულობების შექმნას და მისგან გამომდინარე მიწოდებას.
- ერთმანეთისგან განასხვავებს ერთიანი მარკეტინგული პროცესის ცალკეულ ელემენტებს, მათ სპეციფიკასა და თავისებურებებს, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებს, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ნორმების პრინციპებს.

**კონცენტრაცია- ბუღალტრული აღრიცხვა**

- აღწერს და აფასებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მიზანშეწონილობას, შესაბამის მიზნებსა და ეტაპობრივ თანმიმდევრობას; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ნორმატიული აქტების ეფექტიანად გამოყენების ინსტრუმენტებსა და მეთოდებს.
- ამუშავებს ცალკეული პერსონალების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის მონაცემებს. უზრუნველყფს სათანადო ფინანსური მასალებისა და ანგარიშების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- მონაცემთა დამუშავებისას იყენებს კომუნიკაციისა და ინფორმაციის ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.

**კონცენტრაცია - ფინანსები**

- ავლენს ფართო ცოდნას ფინანსების თანამედროვე თეორიებში, საფინანსო საქმიანობის პრაქტიკაში და მონაწილეობს დაგეგმვასა და მართვაში.
- ამუშავებს ფინანსურ მონაცემებს ობიექტურად მოძიებული მასალების საფუძველზე; ცალკეული ინდივიდების, ორგანიოზაციების საქმიანობაზე. აყალიბებს მისეულ ვარაუდებს და შესაბამის დასკვით დებულებებს.
- ახდენს საფინანსო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს პოზიტიურ ნორმატიულ შეფასებას მიმდინარე ფინანსურ მოვლენებსა და პროცესებზე. აყალიბებს საკუთარ ინტერპრეტაციულ ხედვას.
-

## 5 დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

„ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები კერძო ან საჯარო სექტორის ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით, მართვის საშუალო ან საწყის დონეზე. კერძოდ, კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება, დასაქმდეს სხვადასხვა ფუნქციონალური სფეროს მენეჯმენტში:

- კერძო სექტორში, როგორც სამეწარმეო ისე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში;
- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- არასამთავრობო დაწესებულებებში, მათ შორის, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა თუ ფონდებში;
- განახორციელოს კერძო ბიზნესი და სხვა ისეთი საქმიანობა, სადაც საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების ცოდნა, და არ მოეთხოვებათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია, სწავლა განაგრძოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით ან/და სპეციალობის შეცვლის მიზნით – სხვა მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით.

## 6 პროგრამის სტრუქტურა

**იხ. დანართი 1**

## 7 სწავლა-სწავლების მეთოდები

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, სწავლების შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლისა და სწავ-ლების სხვადასხვა მეთოდები, ან ხდება მათი კომბინირებული გამოყენება. საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას სწავლების შედეგების მისაღწევად ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, დინამიურად - სწავლის შედეგების, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. ზოგადად, რეკომენდირებულია კლასიკური ლექციის ფორმატში მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მეთოდების ინტეგრაცია. ცალკეული კომპეტენციის გამომუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პროექტის შემუშავება, პრეზენტაცია, საშინაო დავალება და დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ანალოგიური ფორმები; ასევე, პრაქტიკული კომპონენტი და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.
"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას გამოყენებული სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები სტუდენტში უნდა ახდენდნენ შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას. სწავლების მეთოდები ისე უნდა შეირჩეს, რომ გამოიწვიოს სტუდენტის დაინტერესება შესასწავლი თემით, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში.

**ლექცია,** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობის** დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

**პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა** კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში თეორიული მასალის გამოყენების უნარის ფორმირება, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

**სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

**სწავლება-სწავლის შესაბამისი აქტივობებია:**

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

**შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
ბ)დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება

შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

**პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.

**პროექტის შემუშავება** -პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

**საწარმოო პრაქტიკა** არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული

კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

**საბაკალავრო ნაშრომი** წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ: წიგნზე მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;

## 8 შეფასების სისტემა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით

გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

## 9 სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საპროფესორო. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით.

**დანართები:**

- დანართი 1 -პროგრამის სტრუქტურა
- დანართი 2 - ძირითადი სწავლის შედეგების რუქა
- დანართი 3 - პროგრამის ხელმძღვანელის CV (resume)
- დანართი 4 - პროგრამის ადამიანური რესურსები